საიდ. №71882/03

IR 1153559

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №139-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით, განიხილა კომპანიის „პიერ ფაბრ დერმო-კოსმეტიკ” (PIERRE FABRE DERMO-COSMETIQUE) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №139-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს №2224/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН“ (საიდ. N71882/03, IR 1153559) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში ასევე, მე-3 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს №2224/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН", დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „Synto Holding GmbH“ სახელზე მე-3 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის, მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „AVENO" (IR 1134996, თარიღი: 20.08.2012). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და კირილიცაზე. წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის დაწყებითი ნაწილი „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან აღწერილობითია განცხადებული საქონლის მიმართ, რაც შეეხება ნიშნის მეორე ნაწილს „АВЕН“, იგი ჟღერადობით და ვიზუალურად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის აღრევამდე მსგავსია, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „პიერ ფაბრ დერმო-კოსმეტიკ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო

ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი-იდენტურია ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

აპელანტის პოზიციით, ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური განსხვავება. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება სამი სიტყვისაგან, რომლებიც შეიცავენ საერთო ჯამში 18 ასოს და შესრულებულია კირილიცის სტანდარტული შრიფტით „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН", მაშინ როდესაც დაპირისპირებილი ნიშანი შედგება ერთი სიტყვისაგან და შესრულებულია 5 სტილიზებული ლათინური ასოსაგან „AVENO". აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიშნებს შორის არსებობს ფონეტიკური და ვიზუალური სხვაობა. ნიშნები განსხვავდებიან ასევე, საერთო შთაბეჭდილებით, რომელსაც ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. აპელანტის განმარტებით, რაც შეეხება დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, ის იმდენად განსხვავდება, რომ მისი ერთმანეთში აღრევა შეუძლებელია. კერძოდ, დაპირისპირებული ნიშნის მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს: „გამწმენდი და გასაპრიალებელი პრეპარატები ავტომობილის მოვლისა და გაწმენდისათვის", მაშინ როდესაც განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-3 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „კოსმეტიკური პროდუქცია დამზადებული თერმულ წყალზე". ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს №2224/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН" (საიდ. N71882/03, IR 1153559) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში ასევე, მე-3 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ის „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნებით ნიშანდებული მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-3 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია თერმული წყლის საფუძველზე დამზადებულ კოსმეტიკურ საშუალებებთან (3 - Cosmetic products based on thermal waters), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3 კლასის ისეთი საქონლის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ავტომობილის ძრავის საწმენდ-საპრიალებელ ასევე, მისი მოვლის საშუალებებთან (Cleaning and polishing products for cleaning and care of motor vehicles), აღნიშნული გამორიცხავს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ამასთან, კოლეგია განმარტავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას, ვიზუალურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ მსგავსებასთან ერთად, წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები. ნიშნებს შორის მხოლოდ ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება, არ არის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველი, რადგან კანონის ზემოაღნიშნული ნორმა სავალდებულოდ მიიჩნევს განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის

მსგავსებას. იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის მხოლოდ ერთი და იმავე კლასებში, კერძოდ მე-3 კლასში არსებობა, თავისთავად არ გულისხმობს საქონლის მსგავსებას. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, იმდენად განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნებით ნიშანდებული მე-3 კლასის საქონელი, მათი ბუნებით, ხასიათით და დანიშნულებით, რომ არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებულ ნიშანს „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН" (საიდ. N71882/03, IR 1153559) უნდა მიენიჭოს დაცვა მთლიანობაში, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნები „ТЕРМАЛЬНАЯ", „ВОДА" ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН" (საიდ. N71882/03, IR 1153559) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „პიერ ფაბრ დერმო-კოსმეტიკ” (PIERRE FABRE DERMO-COSMETIQUE) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს №2224/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН“ (საიდ. N71882/03, IR 1153559) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ТЕРМАЛЬНАЯ ВОДА АВЕН“ (საიდ. N71882/03, IR 1153559) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ, სიტყვიერი აღნიშვნებისათვის „ТЕРМАЛЬНАЯ“, „ВОДА“ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ლ. კერესელიძე

ლ. ახობაძე